დინამოელთა საკონტროლო მატჩი

გუშინ თბილისის “ლოკომოტივის” სტადიონზე გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. თბილისის დინამოელებმა უმასპინძლეს ოდესის “ჩერნომორეცს”.

სეზონის ამ ეტაპზე ყოველ გუნდს თავისი ამოცანა და საზრუნავი აქვს. ოდესელები 20 თებერვალს უნდა ჩაებან საკავშირო თასის გათამაშებაში (მოსკოვის “ლოკომოტივთან”), ამიტომ ეს მატჩი ფაქტიურად ძალთა უკანასკნელი შემოწმებაა მათთვის, თბილისელები კი 4 მარტს ლონდონში თამაშობენ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთ თასზე.

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან ხელთ აიღეს ინიციატივა და მალე შენგელიამ გახსნა ანგარიში – 1:0.

შუა ტაიმში ოდესელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა შევჩენკომ კარგად ისარგებლა “დინამოს” მცველთა შეუთანხმებლობით და გაქვითა გოლი, მერე კი შენგელიამ და მუჯირმა ისევ დააწინაურეს თბილისელები – 3:1. შესვენებამდე ოდესელებმა შეამცირეს სხვაობა ანგარიშში – 2:3.

მეორე ტაიმში “ჩერნომორეცი” საგრძნობლად გააქტიურდა. ჯერ პლოსკინამ ზუსტად დაარტყა პენალტი, ხოლო 67–ე წუთზე შევჩენკომ წინ გაიყვანა თავისი გუნდი – 4:3.

მატჩის დასასრულს თბილისელები განუწყვეტლივ უტევდნენ, ბოლო წუთებზე სულაქველიძემ გაათანაბრა ანგარიში, მანამდე კი შენგელიამ ვერ გამოიყენა 11–მეტრიანი.

თბილისის “დინამომ” ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კოსტავა (მელიქია), ხიზანიშვილი (სვანაძე), ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, თავაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

რ. აბაშელი.

“ლელო”, 17 თებერვალი, 1981 წ.